განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,3 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 14 618,3 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (13 384,1 ათასი ლარი) შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 234,2 ათასი ლარით.

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10 918.3 ათასი ლარით;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 1 014,2 ათასი ლარით. აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3 700.0 ათას ლარს;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 220.0 ათასი ლარით) იზრდება.

დასახელება	2024 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**15 338,30**	**270,00**	**15 068,30**
შემოსავლები	**15 338,30**	**270,00**	**15 068,30**
არაფინანსური აქტივების კლება	**0,00**	**0,00**	**0,00**
ფინანსური აქტივების კლება	**0,00**	**0,00**	**0,00**
ვალდებულებების ზრდა	**0,00**	**0,00**	**0,00**
შემოსავლები	**15 338,30**	**270,00**	**15 068,30**
გადასახადები	**14 618,30**	**0,00**	**14 618,30**
საშემოსავლო გადასახადი	**0,00**		
ქონების გადასახადი	**3 700,00**	**0,00**	**3 700,00**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**3 500,00**		**3 500,00**
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**0,00**		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	**0,00**	**0,00**	**0,00**
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,00		
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე	0,00		
საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე	0,00		

საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარლებზე)	0,00		
საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე	0,00		
საქართველოში რეგისტრირებულ შეულმფრენებზე	0,00		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	80,00	0,00	80,00
ფიზიკურ პირებიდან	25,00		25,00
იურიდიულ პირებიდან	55,00		55,00
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	120,00	0,00	120,00
ფიზიკურ პირებიდან	10,00		10,00
იურიდიულ პირებიდან	110,00		110,00
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,00		
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	10 918,30		10 918,30
სხვა გადასახადები	0,00		
გრანტები	270,00	270,00	0,00
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,00		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,00		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	270,00	270,00	0,00
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	270,00	270,00	0,00
გათანაბრებითი ტრანსფერი	0,00		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	270,00	270,00	
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0,00		
სპეციალური ტრანსფერი	0,00		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0,00	0,00	0,00
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0,00	0,00	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,00	0,00	
გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ ა(ა)იპ(ბ)-დან	0,00		0,00
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0,00		
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0,00		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	0,00	0,00	
სხვა შემოსავლები	450,00	0,00	450,00
შემოსავლები საკუთრებიდან	206,00	0,00	206,00
პროცენტები	106,00		106,00
დივიდენდები	0,00		
რენტა	100,00	0,00	100,00
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	90,00		90,00
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	10,00		10,00

სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,00		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	84,00	0,00	84,00
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**54,00**	**0,00**	**54,00**
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0,00		
სანებართვო მოსაკრებელი	4,00		4,00
სახელმწიფო ბაჟი	0,00		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,00		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,00		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,00		
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0,00		
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,00		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	50,00		50,00
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,00		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**30,00**	**0,00**	**30,00**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,00		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	30,00		30,00
ჯარიმები, სანქციები და საურავები	120,00		120,00
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,00		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	40,00		40,00
არაფინანსური აქტივების კლება	**0,00**	**0,00**	**0,00**
ძირითადი აქტივები	0,00		0,00
მატერიალური მარაგები	0,00		
ფასეულობები	0,00		
არაწარმოებული აქტივები	0,00	0,00	0,00
მიწა	0,00		
სხვა ბუნებრივი აქტივები	0,00		
ფინანსური აქტივების კლება	**0,00**	**0,00**	**0,00**
საშინაო	0,00	0,00	0,00
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,00		
სესხები	0,00		
აქციები და სხვა კაპიტალი	0,00		
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,00		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,00		
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,00		
საგარეო	0,00	0,00	0,00
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,00		
სესხები	0,00		
აქციები და სხვა კაპიტალი	0,00		
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,00		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,00		

სხვა დებიტორული დავალიანებები	0,00		
ვალდებულებების ზრდა	0,00	0,00	0,00
საგარეო	0,00		
საშინაო	0,00		

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270.0 ათასი ლარამდე, მათ შორის:
  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 270.0 ათასი ლარი;

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 110.0 ათასი ლარით მცირდება. (შემცირება გამოწვეულია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებიდან ჩამოშორებით)

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 206,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ პროცენტები 106,0 ათასი ლარი.
  - ✓ რენტა 100,0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 84,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 4,0 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 50,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 30.0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 120.0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:
- **შემოსავლები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 5,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული 40,0 ათასი ლარი;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 0 ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 15 338.3 ათას ლარს. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია რამოდენიმე ფაქტორით, მათ შორის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა (მუნიციპალიტეტის საკრებულლო,მერია,სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური) და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს და ხარჯების გაზრდით.

2024 წლის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა, სადაც დაემატა ორი ქვეპროგრამა, ასევე რიგი პროგრამები/ქვეპროგრამები, რომელთაც შეეხოთ ხელფასების 10%-იანი ზრდა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 1 381,3 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 211,9 ათასი ლარი;
  - ✓ წყლის სისტემების განვითარება - 206,9 ათასი ლარი;
  - ✓ გარე განათება - 633,5 ათასი ლარი;
  - ✓ კეთილმწყობის ღონისძიებები - 9,0 ათასი ლარი;
  - ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი - 320,0 ათასი ლარი;

- **გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1 645,6 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1 385,2 ათასი ლარი
  - ✓ ჩამდინარე წყლების მართვა- 161,1 ათასი ლარი
  - ✓ გამწვანების ღონისძიებები- 75,3 ათასი ლარი;
  - ✓ უპატრონო ცხოველების ოპერირება- 24,0 ათასი ლარი;

- **განათლება - 3 410.0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ სკოლამდელი განათლება - 3 400.0 ათასი ლარი;
  - ✓ საჯარო სკოლების დაფინანსება - 10.0 ათასი ლარი;

- **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 2 054,0 ათასი ლარი მათ შორის:**
  - ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 900,0 ათასი ლარი;

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის.

  - ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1 024,0 ათასი ლარი;

    პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს ბიბლიოთეკების, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არქოლოგიური კვლევა და მონიტორინგი - 25.0 ათასი ლარი;
- ✓ რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 50.0 ათასი ლარი;
- ✓ ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა - 80.0 ათასი ლარი;

➢ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2 138,4 ათასი ლარი, მათ შორის:**

- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 180.0 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება - 120.0 ათასი ლარი;
- ✓ ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება - 40.0 ათასი ლარი;
- ✓ თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა - 42.0 ათასი ლარი;
- ✓ მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დააავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა - 80.0 ათასი ლარი;
- ✓ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა - 12.0 ათასი ლარი;
- ✓ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება - 10,0 ათასი ლარი
- ✓ ბავშვთა აბილიტაცა/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფციართა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგამა - 10.0 ათასი ლარი.
- ✓ შშმ პირების რეაბილიტაციის ცენტრი - 130,0 ათსი ლარი;
- ✓ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები - 100.0 ათასი ლარი;
- ✓ ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება - 50.0 ათასი ლარი;
- ✓ საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება - 25.0 ათასი ლარი;
- ✓ მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება - 370.0 ათასი ლარი;
- ✓ შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა - 35.0 ათასი ლარი;
- ✓ დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება - 18.0 ათასი ლარი;
- ✓ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა - 10.0 ათასი ლარი;
- ✓ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება - 3.0 ათასი ლარი;
- ✓ სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა - 3.0 ათასი ლარი;

- ✓ წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება - 5,0 ათასი ლარი
- ✓ სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფა - 110,0 ათასი ლარი
- ✓ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა - 200.0 ათსი ლარი;
- ✓ უსინათლოთა ფინანსური მხარდაჭერა - 12,0 ათასი ლარი;
- ✓ უპატრონო ხანდაზმულთა ფინანსური მხარდაჭერა - 18,0 ათასი ლარი;
- ✓ სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა- 100.0 ათასი ლარი;
- ✓ ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი - 5.0 ათასი ლარი;
- ✓ უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი - 5.0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა - 390.0 ათასი ლარი;
- ✓ ა(ა)იპ „კეთილი სამარიტელი“-2014 თანადაფინანსება - 6.0 ათასი ლარი;
- ✓ ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა - 9.4 ათასი ლარი;
- ✓ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა - 5.0 ათასი ლარი;
- ✓ მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 35,0 ათასი ლარი:

- **ეკონომიკური განვითარება - 80,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები - 15,0 ათასი ლარი.
  - ✓ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა - 10,0 ათასი ლარი.
  - ✓ მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობა - 25.0 ათასი ლარი.
  - ✓ ტურიზმის ხელშეწყობა - 30,0 ათასი ლარი.

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4 629,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1 183,5 ათასი ლარი;
  - ✓ მუნიციპალიტეტის მერია - 3 040.0 ათასი ლარი;
  - ✓ მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება - 20,0 ათასი ლარი;
  - ✓ სარეზერვო ფონდი - 100.0 ათასი ლარი;
  - ✓ სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა - 1.0 ათასი ლარი;
  - ✓ მგფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა - 285.0 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

პრიორიტეტი	დასახელება	2024 წელი პროგნოზი
	შემოსავლები	15 338,30
	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	**15 338,30**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი**	**4 629,00**
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4 243,00
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 183,00
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	3 040,00
01 01 04	მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფ. განვითარება	20,00
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	386,00
01 02 01	სარეზერვო ფონდი	100,00
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,00
01 02 03	მგფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	285,00
01 02 06	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა	
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**1 381,30**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	211,90
02 01 01	გზებისა და ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია	111,90
02 01 02	შიდა გზების და ხიდ-ბოგირების მოვლა-შენახვა	100,00
02 02	წყლის სისტემები	206,90
02 02 01	წყლის სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია	
02 02 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	206,90
02 02 02 01	წყლის სისტემების ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	152,00
02 02 02 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	54,90
02 03	გარე-განათება	633,50
02 03 01	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	
02 03 02	გარე-განათების ექსლუატაცია	633,50
02 03 02 01	გარე განათების ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	365,20
02 03 02 02	გარე განათების ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	268,30
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	9,00
02 04 02	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების კეთილმოწყობის ღონისძიებები	0,00
02 04 03	კეთილმოწყობის ღონისძიებები ქ. წალენჯიხაში	
02 04 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები ქ. ჯვარში	9,00
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	
02 06	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა	
02 07	საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საზედამხედველო ინსპექტირების მომსახურების ხარჯი	320,00
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და საპრევენციო ღონისძიებების დაფინანსება	
03 00	**გარემოს დაცვა**	**1 645,60**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 385,20
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ. წალენჯიხის ტერიტორიაზე	869,90
03 01 02	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ. ჯვარის ტერიტორიაზე	515,30
03 02	ჩამდინარე წყლების მართვა	161,10
03 02 01	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის მოწყობა	0,00
03 02 02	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემების ექსპლუატაცია	161,10
03 02 02 01	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	132,60
03 02 02 02	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	28,50

03 03	გამწვანების ღონისძიებები	75,30
03 03 01	გამწვანების ღონისძიებები ქ. წალენჯიხაში	60,30
03 03 02	გამწვანების ღონისძიებები ქ. ჯვარში	15,00
03 04	უპატრონო ცხოველების ოპერირება	24,00
03 04 01	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ წალენჯიხაში	15,00
03 04 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ. ჯვარში	9,00
04 00	**განათლება**	**3 410,00**
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	3 400,00
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მშენებლობა და რეაბილიტაცია	
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	10,00
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	
04 05	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**	**2 054,00**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	900,00
05 01 01	სპორტული ცენტრის დაფინანსება	450,00
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	450,00
05 01 04	სპორტული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	
05 02	კულტური განვითარების ხელშეწყობა	1 024,00
05 02 01	კულტურის ცენტრის დაფინანსება	753,00
05 02 02	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	246,00
05 02 03	კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია	0,00
05 02 04	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არქეოლოგიური კვლევა და მონიტორინგი	25,00
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,00
05 04	ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა	80,00
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**2 138,40**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	624,00
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	180,00
06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	120,00
06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	40,00
06 01 04	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	42,00
06 01 05	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დააავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	80,00
06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	12,00
06 01 07	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება	10,00
06 01 08	ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	10,00
06 01 09	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია	0,00
06 01 10	შშმ პირების რეაბილიტაციის ცენტრი	130,00
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	959,00
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	100,00
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	50,00
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	25,00
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	370,00
06 02 05	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	35,00
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	18,00
06 02 07	საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	0,00

06 02 08	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	10,00
06 02 09	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება	3,00
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	3,00
06 02 12	წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება	5,00
06 02 13	სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფა	110,00
06 02 14	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა	200,00
06 02 15	უსინათლოთა ფინანსური მხარდაჭერა	12,00
06 02 16	მარტოხელა ხანდაზმულთა ფინანსური მხარდაჭერა	18,00
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	100,00
06 04	სარიტუალო მომსახურება	10,00
06 04 01	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	5,00
06 04 02	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი	5,00
06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფა	390,00
06 06	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება	0,00
06 07	ა(ა)იპ „კეთილი სამარიტელი“-2014 თანადაფინანსება	6,00
06 08	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	9,40
06 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	5,00
06 10	მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა	35,00
07 00	**ეკონომიკური განვითარება**	**80,00**
07 01	სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები	15,00
07 02	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	10,00
07 03	მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობა	25,00
07 04	ტურიზმის ხელშეწყობა	30,00

15 338,3 /ათასი ლარი/

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2024-2027 წლები);
2. მუნიციპალიტეტის პროგრამების/ქვეპროგრამების განმხორციელებელ ორგანიზაციათა ნუსხა.

ბ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

გ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი